ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის

საბა ბუაძის

2022-2023 წლის საქმიანობის ანგარიში

2022-23 წლებში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო.

ამ პერიოდში ფრაქცია “ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის” მუშაობდა ქალაქის ურბანული სახის მაქსიმალურად შენარჩუნებაზე, მწვანე სივრცეების დაცვაზე და ითხოვდა სწორი სატრანსპორტო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მაქსიმალურად იქნება ორიენტირებული ფეხით მოსიარულეებზე, საზოგადოებრივი და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით მოსარგებლეებზე.

2022 წლის 28 დეკემბერს, ქ. თბილისის საკრებულოში დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებაზე მოსულ თბილისის მერს, კახა კალაძეს კიდევ ერთხელ შევახსენეთ მისი შეუსრულებელი დაპირებები, მათ შორის, მერიაში გაზრდილი საწვავის და ავტომობილების მომსახურების ხარჯები, იმ ფონზე, რომ მერი მოქალაქეებს მუდმივად მოუწოდებს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გადაჯდომისკენ. ასევე 18 მეტრიანი ავტობუსების შესყიდვის რამდენიმე წლით დაგვიანება, რაც ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადატვირთვის ერთ-ერთი მიზეზია.

2022-23 წლებში ხშირად ვსაუბრობდით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებულ კორუფციაზე, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების პრობლემებზე. საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას ინტენსიურად ვაწვდიდით ინფორმაციას იმ საგანგაშო შემთხვევებზე, რომლებშიც თბილისის მერიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. რამდენიმე გახმაურებულ საქმეზე საგამოძიებო უწყებებმა საქმეც კი აღძრეს. კერძოდ, 2023 წლის 30 მაისს მივმართე პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით ბაგების სატყეო უბანში და ალექსიძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების კორუფციული გზით მონაცვლეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა მე, როგორც განმცხადებლი, არ გამომკითხა, ჩვენმა აქტიურობამ აღნიშნული მონაცვლეობის პროცესი შეაჩერა.

ჩვენი ფრაქცია ამ საკითხებზე მუშაობას მომავალ წლებშიც გააგრძელებს და კიდევ უფრო აქტიური იქნება გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეობის ჩართულობის ზრდის, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებისთვის სხვადასხვა ინიციატივების და ანტი-კორუფციული რეგულაციების წარდგენის მიმართულებით.

საკრებულოსა კომისიების სხდომებში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე 16 საკრებულოს სხდომაში და საკრებულოს ბიუროს 20 სხდომაში. სულ მონაწილეობა მივიღე 663 განკარგულების და 115 დადგენილების განხილვაში.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

როგორც ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, საანგარიშო პერიოდში დავესწარი კომისიის 17 სხდომას, მონაწილეობა მივიღე 282 საკითხის განხილვაში.

საანგარიშო პერიოდში, დედაქალაქის საკრებულოში განსაკუთრებით აქტიურად ვმუშაობდი ურბანულ საკითხებზე. როგორც ოპოზიციონერი დეპუტატი, ვცდილობდი ხელისუფლების მიერ ინიცირებული ურბანულად არასწორი და ქალაქისთვის დამაზიანებელი ინიციატივების მიღებისთვის ხელის შეშლას და მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

ამ კონტექსტში, გამოსარჩევია მასშტაბური პროექტები, რომელთა აშენებაც ზიანს მიაყენებს, როგორც დედაქალაქის იერსახეს, ასევე გაამწვავებს სატრანსპორტო პრობლემებს:

1. ლაგუნა ვერე და აბრეშუმის ფაბრიკა, ორი 50 სართულიანი ცათამბჯენი - 155,000 კვ.მ ფართობი;
2. ფიზკულტურის ინსტიტუტის ადგილზე დაგეგმილი 180 მეტრიანი ცათამბჯენის პროექტი - ჯამში 200,000 კვ.მ;
3. ვაგომშემკეთებელი ქარხნის ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობები - ჯამში 530,000 კვ.მ;
4. დიდი დიღმის ტერიტორიაზე დაგეგმილი ახალი უბნის მშენებლობა - 750,000 კვ.მ;
5. ქინგ დეივიდის მიმდებარედ, ქართული ოცნების დეპუტატ გოჩა ენუქიძის მიწის ნაკვეთს ეცვლება სარეკრეაციო ზონის სტატუსი და ახალი მრავალსართულიანი კომპლექსი შენდება.

ფრაქცია "ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის" დღემდე ითხოვს გაცემული ნებართვების სასწრაფოდ გაუქმებას და სადაც შესაძლებელია, ამ ტერიტორიების შესყიდვასა და მისი რეკრეაციული მიზნით მოწყობას.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმუშაობდი თბილისში არსებული ავარიული და ამორტიზებული ლიფტების საკითხზე. აღნიშნული სამუშაოს ფარგლებში, ვეცნობოდი თბილისში ლიფტების მდგომარეობას. სფეროს სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად შევიმუშავე კონკრეტული ინიციატივა, რომელიც თბილისში არსებული ლიფტების სავალდებულო ინსპექტირებას და საფრთხის შემცველი ლიფტების შესაბამისი წესით გამორთვას გულისხმობს.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

საანგარიშო პერიოდში, როგორც ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, დავესწარი 14 სხდომას და განვიხილე 157 საკითხი.

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მუშაობისას, ჩვენი ძირითადი მიზანი მოთხოვნა იყო, რომ დედაქალაქის ბიუჯეტში მაქსიმალურად შემცირებულიყო ადმინისტრაციული და არამიზნობრივი ხარჯების წილი და ეს თანხები სოციალური პროგრამების დაფინანსების ზრდაზე დახარჯულიყო, რომელიც დედაქალაქის მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს მოხმარდებათ.

ფრაქციის სხდომებში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარემ, მონაწილეობა მივიღე 37 სხდომაში, სადაც განხილული იყო ფრაქციისთვის მნიშნველოვანი საკითხები: ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმარება, მოქალაქეებთან შეხვედრების ორგანიზება, საკრებულოს სხდომის საკითხების ანალიზი და სხდომებისთვის მომზადება.

ფრაქციის გადაწყვეტილებით, 2022-23 წლებში ფრაქციის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიეთ ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების და მერიის საქვეუწყებო დაწესებულებების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მერიის თანამდებობის პირები ვალდებული არიან გამოცხადდნენ ფრაქციის სხდომაზე, ფრაქცია “ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის” სახელით გაგზავნილი ყველა მოთხოვნა იგნორირებული იყო ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენლების მიერ.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოში მივიღე თბილისის 347 მოქალაქე და განვიხილე მოქალაქეების 36 მომართვა.

მოქალაქეების ძირითადი პრობლემები იყო: სამედიცინო დახმარების მიღება, გამგეობასთან ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე შუამდგომლობა, იურდიული საკითხების გადაჭრა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკარო მოსახლეობის პროგრამაში მონაწილეობის მიღება.

მიღებული მომართვების საფუძველზე აღმოვაჩინე თბილისში მიმდინარე სხვადასხვა უკანონო მშენებლობები, რომლებთან დაკავშირებითაც მივმართე მუნიციპალურ ინსპექციას. ჯამში არსებული 6 შემთხვევიდან წარმატებით მოვახერხეთ 3 ასეთი მშენებლობის შეჩერება და კანონდამრღვევების შესაბამისი წესით დაჯარიმება. მარჯანიშვილის ქუჩაზე მიმდინარე უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოება ამ დრომდე მიდის და ველოდებით უკანონო ნაგებობის დემონტაჟს.

საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიასა და მის საქვეუწყებო დაწესებულებებში ინფორმაციის გამოთხოვის, გზების, ავარიული სახლების, დაზიანებული გასართობი ინფრასტრუქტურის და მსგავსი ობიექტების რეაბილიტაციაზე შუამდგომლობის და სხვა მიზნებით გავაგზავნე 120 წერილი, რომელთა ნაწილიც ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების მხრიდან უპასუხოდ დარჩა.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

2023 წლის განმავლობაში ვმონაწილეობდი საქართველოს პარლამენტში ინიცირებული იმ კანონპროექტების განხილვაში, რომლებიც დაკავშირებულია თბილისში არსებულ საკითხებთან. კერძოდ, შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ კანონის პროექტის და საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვაში.

გარდა ამისა, მუნიციპალურ კომპეტენციებთან კავშირში მყოფ საკთხებზე მუშაობის ფარგლებში, 2023 წლის განმავლობაში შეხვედრები მქონდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენლებთან, რომლებსაც ძირითადად ვესაუბრებოდი თბილისში არსებული წყალმომარაგების სისტემის პრობლემებზე და მათი მოგვარების გზებზე.

სხვა სახის ინფორმაცია

2022-23 წლებში, მედიასა და სოციალურ მედიაში სისტემატიურად ვასაჯაროვებდი იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან.

თბილისის საკრებულოს წევრი,

ფრაქცია “ლელო პარტნიორობა - თბილისისთვის” თავმჯდომარე

საბა ბუაძე